ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2939727

ნომერი: AR1448653

თარიღი : 13.10.2016

გაცემის თარიღი : 10.11.2016

გაცნობის თარიღი : 10.11.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი ვაგზალი , N 2 , (ნაკვ. 05/056) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა სირაძე პ/ნ 01010013468
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 13 ბ. 30

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

მოთხოვნის ტექსტში დაფიქსირდეს დეტალური ინფორმაცია ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე.

პანდუსის მოწყობისას გაითვალისწინეთ, რომ მისი დახრის პროცენტულობა არ უნდა აღემატებოდეს 6% (განსაკუთრებულ შემთხვევაში 8%).
პანდუსის გარეთა გვერდებისა და ბაქნების მოედნების კიდეებზე საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ქიმების მოწყობა, სიმაღლით არანაკლებ 10 სმ-ისა. მოეწყოს მოაჯირი, რომლის სიმაღლე უნდა იყოს 0,9 მეტრი, შედგენილი გრძივი ღეროებისაგან 0,5 მეტრის და 0,7 მეტრის სიმაღლეზე. შესასვლელთან ბაქანზე გათვალისწინებული უნდა იქნას ადგილი მანევრირებისათვის (ეტლის მოტრიალების რადიუსი 1,50მ.), ხოლო კარის მოაჯირის სიმაღლე უნდა იყოს 0,9 მეტრი, შედგენილი გრძივი ღეროებისაგან 0,5 მეტრის და 0,7 მეტრის სიმაღლეზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაკორექტირდეს წარმოდგენილი ფოტომონტაჟი და ესკიზური ნახაზები.

„არსებული სიტუაციის ფოტოსურათები“-ს ველში დამატებით აიტვირთოს პანდუსის მოსაწყობი ადგილის ამსახველი, ახლო მანძილიდან გადაღებული ფოტოსურათი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.